ტექნიკური აღწერა

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

- კონკურსის მიზანია ქ. ქუთაისში ნიკეას №15-ში მდებარე საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“-ს 3 (სამი) სართულიანი სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის (დაახლოებით 1500 კვ.მ.), ახალი შენობის მიშენების (დაახლოებით 200 კვ.მ.), ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
- საკონკურსო წინადადების ფასში მოცემულია კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით.
- იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი ახორციელებს ანაზღაურების გარეშე.
- პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით შეთანხმდება შემსყიდველთან.

შ.პ.ს „დიზაინკომპლექსი“

დირექტორი: /ზ. გუბელაძე/.